რადიო იწყება ჩვენით
RADIO BEGINS WITH US
შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი
BROADCASTING COMPANY HERETI

0108, შიო ჩიტაძის ქ.N11, თბილისი, საქართველო
0108 Shio chitadze st.N11 Tbilisi, Georgia
www.heretifm.com www.tbilisifm.ge
www.citrusfm.live www.relaxwebradio.com

07.10.2021

კომუნიკაციების კომისიას
საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას
პოლიტიკურ პარტიებს

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

გაცნობებთ, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ (მედია ჰოლდინგი ჰერეთი) ის პოპულარულ რადიოსადგურებში (რადიო ჰერეთი, რადიო თბილისი, რადიო ციტრუსი) გამოყოფილია ფასიანი სარეკლამო დროები პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად.

2021 წლის 30 ოქტომბრის (მეორე ტურის) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, თითოეულ ჩვენს რადიოსადგურში ფასიანი პოლიტიკური რეკლამის 1 წუთის ღირებულება შეადგენს 190 ლარს.

სარეკლამო ბლოკები გამოყოფილია გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ, ახალი ამბების დასაწყისში ან დასრულების შემდეგ.სარეკლამო ბლოკები ეთერშია ყოველი საათის 10. 30 და 50 წუთებზე (დილის 7:10 – 23:50 საათამდე)

რადიო ჰერეთი FM 102.8 - დაფარვის ზონა კახეთის რეგიონს და აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილს მოიცავს. კახეთში ჰერეთის მაუწყებლობა ვრცელდება შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, წნორი, სიღნაღი, გურჯაანი, ყვარელი, დედოფლისწყარო, თელავი, საგარეჯო. ახმეტა. ასევე დაფარვის ზონაშია დასავლეთი აზერბაიჯანი – ბელაქანი, ზაქათალა, კახი.

რადიო თბილისის FM93.5 დაფარვის ზონა მოიცავს სრულიად თბილისსა და მის შემოგარენს, ქალაქებს რუსთავსა და მცხეთას, კახეთის რეგიონს: საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისწყაროს რაიონის და ლაგოდეხის რიგ სოფლებს.

რადიო ციტრუსი FM97.3 ბათუმიდან მაუწყებლობს და არის პირველი კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი რადიოსადგური. ციტრუსის მაუწყებლობა ვრცელდება ბათუმსა და შემოგარენში, ზღვის მთლიან სანაპირო ზოლზე, მახინჯაურში, გონიოში, კვარიათი, სარფი, შეკვეთილში, ქობულეთსა და ურეკსა და ფოთში.

რადიოების დაფარვის არეალში 3 მილიონამდე პოტენციური მსმენელია. „ჩვენ ვყიდით რეკლამას და არა ახალ ამბებს“,„ჩვენ ვსაუბრობთ თქვენს ენაზე“ – მიუკერძოებელი საინფორმაციო პოლიტიკა, ნდობის მაღალი რეიტინგი, მუდმივი ინოვაციურობა და მზარდი განვითარება, ქართულ სამაუწყებლო ბაზარზე ჰერეთის მდგრადი სამაუწყებლო პოლიტიკის და შეუპოვარი გუნდის მიღწევაა.

დამოუკიდებელი მედიაჰოლდინგი ჰერეთი ყველა კვლევის თანახმად გამოირჩევა მსმენელთა ნდობითა და მაღალი ავტორიტეტით. (გაეროს, ევროკავშირის, ინტერნიუსის, TNS-ის კვლევები)

დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს გაყიდვების დეპარტამენტს
599 40 77 14, 599 995 935, 032 20 33 935

პატივისცემით,

რამაზ სამხარაძე

დირექტორი

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი

Ramaz Samkharadze
01003000985

Digitally signed by Ramaz Samkharadze
Date: 2021.10.07 12:45:06